

**იმერული დიალექტური ლექსიკისათვის
(ოკრიბული მეთვალაზის მიხედვით)
ON VOCABULARY OF IMERETIAN DIALECT
(ACCORDING TO OKRIBA MATERIALS)**

თეონა მაჭავარიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო ნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Teona Machavariani
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Exploring, recording and documenting of the dialect vocabulary is an important process for a thorough study of a language vocabulary, the more especially as a certain part of lexical units which is of tremendous importance for our everyday life disappears being gradually neglected.

The article deals with interesting word forms attested in Imereti, specifically, in the villages of Orpiri community. The materials were recorded during 1993-98 by the staff of Scientific-Research institute of Kartvelian Dialectology (currently, the Center for Kartvelology) affiliated to Akaki Tsereteli State University. The word forms of Imeretian dialect are presented in comparison with the data of the Explanatory Dictionary of the Georgian Language, and other dictionaries of various dialects.

The analyzed materials have been divided into several groups:

1. Words that are not found in published dictionaries: *murkučobda* “was moving”, *čamosarkalda* “she has turned pretty/ she turned pretty”, etc.
2. Words that are attested in other dialects, though are missing from the dictionaries of Imeretian dialect: *bacičala* “small/little”, *čapuquli* “ragged, damaged”, etc.
3. Words that have different form or meaning: *apančurebs* “s/he is blinking”, *ğinčilat* “less”, *ğvlipi* “small/little”, etc.
4. Interesting word combinations and phrases occur.

The examined Imeretian word forms are important for the purposes of expanding and improving the vocabulary of the Georgian language.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, იმერული დიალექტი, დიალექტური ლექსიკა.

Keywords: Georgian Language, Imeretian dialect, dialect vocabulary.

დიალექტური ლექსიკის მოძიება, ჩანერა და აღნუსხვა მნიშვნელოვანი პროცესია ენის ლექსიკური ფონდის სრულყოფილი შესწავლისათვის. მით უფრო, რომ თანდათან მივიწყებთ ეძლევა და იკარგება სიტყვაფორმათა ნაწილი, რომელსაც ჩვენი კულტურული ყოფა-ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სტატიაში განვიხილავთ იმერეთში, კერძოდ ორპირის თემში შემავალ სოფლებში, ჩანერილ საინტერესო სიტყვებსა თუ სესიტყვებებს. მასალა ჩანერილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად ქართველოლოგიის ცენტრის) თანამშრომელთა მიერ 1993-98 წლებში. საანალიზო ლექსიკური ერთეულები შევუდარეთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და სხვადასხვა დიალექტურ ლექსიკონებს. გაანალიზებული სიტყვების ნაწილი არ გვხვდება ლექსიკონებში, ნაწილი კი შეიძლება იყოს დადასტურებული, მაგრამ განსხვავებული ფორმით ან მნიშვნელობით.

დიალექტური ლექსიკური ერთეულები დავაჯგუფეთ რამდენიმე ნიშნის მიხედვით:

1. სიტყვები, რომლებიც არ ფიქსირდება გამოქვეყნებულ ლექსიკონებში:

ახვარალეული – დახვავებული. „**ახვარალეული** თხილი იქნება თუ რაცხა [ბავშვის პირველად მოჭრილ თმას] ჩაპუტნიდენ (ჩატენიდენ) იქინა.“

მიებარავება – მიეძალება, გაძალიანდება. „**მიებარავება**, არ ავდარდება, არ არი ამიდი, რა უნა უყო.“

გალირკნილი – გაღარიბებული. „**არაფერი არ გააჩათა, გალირკნილი იყვენ**.“

გვინიხი – შაქრის ნატეხი. „**იმისანა გვინიხები** შაქარი მეიტანდა ჩემი კაცო...“

ზვინტრიკალა – მოზრდილი ბიჭი. „**ბურთით თამაშობდენ, ბურაკობდენ** ეს **ზვინტრიკალა** თავარი ბიჭები.“

კალანკელა – მთქმელი ამ სიტყვას განმარტავს შემდეგნაირად: „**სადაც კარების წინა მხარე იკეტება, კალანკელას** ეძახიან აქანა.“

მორდაპიტია – ჩხუბი, აყალ-მაყალი. „**ნასვამ კაცს ან იმისი არ მონონს**, ან ამას მისი არ მეენონება და წევილოდა მერე **მორდაპიტია**.“

მურკუნობდა – მოძრაობდა. „**ასილისა მთაზედა მურკუნობდა** დედასა, არც მონყდა, არც მოშორდა, დრომდი დადგა ნებასა.“

დაყათიანი – მთქმელის განმარტებით : „**დაყათიანი** არის შეზარხოშებული როა კაცი და არც მთვრალია და არც ფხიბელია.“

„**დაყათიან** სადღინძელოს გოუმარჯოსო!“ ამ სიტყვის ძირი **ყათ** დასტურდება ინგილოურსა და გურულ დიალექტებში სხვადასხვა მნიშვნელობით. შდრ.: **ყათ**-ი (ინგილ., გურ.) ხელი, ცალი, კომპლექტი. თურქ. kat (ლლონტი 1984). უფრო ფართო სემანტიკით აღინიშნება ინგილოურ დიალექტში: **ყათ** - (1) [აზ. გათ] 1. ფენა, წყება, შრე.

ბაშუინუირს (ქალის თავის სამკაულის ნაწილია, რომელზედაც ვერცხლის ფულებია ასხმული); ზმზ. ყათ-ყათ – ფენა-ფენა, შრეებად. 2. ერთი ხელი, ერთი კომპლექტი. ერთი წყება (ტანსაცმელი). 3. ნაკეცი, პლისე, ნაოჭი. 4. (ნაწილაკოვანი სიტყვა, გამოხატავს რაოდენობით რიცხვით სახელებთან ერთად მოქმედების მრავალგზისობას). -ჭერ, -გზის. 5. -ფა, -კეცი, -მაგი (როგორც რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილები). ყათ (2) [აზ. გპთ = განაყოფი] ფიცარსა და ფიცარს შორის გაყოფის ადგილები; ამ ადგილებში გაჩენილი ღრეჩო, ნახვრეტი, ჭუჭრუტანა (ლამბაშიძე 1988).

ჩამოსარკალდა – გალამამდა. „დოუსვი მეორეთ, ჩამოსარკალდა ის თლა კარქათ, გალამამდა.“

დაფომფორიკობდა – დადიოდა. „დედული ბაბუა სულ დაფომფორიკობდა ჩემთან ციხიაში.“

ვახელთოხებთ – ვახერხებთ. „ვთოხნით ახლა, ვახელთოხებთ.“

დიაჩოქობით – მოქმედის განმარტებით: „მაინდამაინ ბრეშული უნდა იქნეს, უხვათ ყუჟელაფერი, „ახლა დიაჩოქობით იციენ კეთება, ქუჟეყანა უნდა დაყარონ.“

მეიხობმანე – მოსულიერდი. „გულო, ისე მეიხობმანე, შენსა ბუდესა ჩაჯეცი.“

2. სიტყვები, რომლებიც დასტურდება სხვა კილოებში, თუმცა იმერულ დიალექტურ ლექსიკონებში არ არის აღნიშნული:

სამონელი – საქონლის სანმენდი ხელსაწყო. „დაბანდენ საქონელს წყაროზე, დაფხიკავდენ, სამონელი ქუიოდა მათ იმას, ჩოთქს.“ აღნიშნული ლექსიკური ერთეული სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით დასტურდება ქვეგლ-სა და რაჭულ დიალექტში. შდრ.: **სამონველ-ი** იგივეა, რაც **სამურველ-ი** – კბილებიანი რკინის ხელსაწყო ცხენის დაურვებისათვის (ქვეგლ); **სამონელ-ი** || **სამონველ-ი** – საქონლის სანმენდი რკინისკბილებიანი ხელსაწყო (კობახიძე, 1987).

ჩაფუყული – შელანძლული, გაფუჭებული. „ჩაფუყული სახლები არ ქუონდა ჩვენ ახლა, ჩემო ბატონო.“ სიტყვის ძირი **ფუყ**- დასტურდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამავე მნიშვნელობით. შდრ.: **ფუყ-ი** – იგივეა, რაც **ფუყე** / **ფიგურ**. **ფუყე** – გამოფულუროებული, გულგამოცლილი; ფუჭი (ქვეგლ).

შეჩინჩხირება – მუგუზლების ყრა ცეცხლის გასაღვივებლად. „მერმე, იყოდენ ნიგვზის შეჩინჩხირება. შეჩინჩხირება თავისებური სიტყვა არი. ესე იგი, ბევრი ნაპერწკლები ამოყობოდა.“ **ჩინჩინი** ამავე მნიშვნელობით დასტურდება კახურსა და ლეჩხუმურში (ლლონტი 1975). ხოლო **შეჩინჩხალება** ფონეტიკური ვარიანტით – **შეჩინჩხალება** – ფიქსირდება რაჭულ დიალექტში იმავე კონტექსტით. შდრ.: **შეჩინჩხალებს** (ცეცხლს) – შეუკეთებს, შეუჩინჩხინებს, ისე რომ ნაპერწკლებს ააყრევივნებს (კობახიძე 1987).

ბაციკალა – პატარა. „გამობტებიან ავერ ბაციკალა ბოჟშები, დაგიმიზნეფს იარაღბ და უნდა ვიტუზო ასე.“ **ბაციკა** გვხვდება ფშაურ დიალექტში იმავე მნიშვნელობით: **ბაციკა** (ფშ.) – პატარა (ლლონტი 1984),

ხოლო ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი ბაციკი დადასტურებული აქვს სულხან-საბას თხის სემანტიკით: **ბაციკი** – თხა (ორბელიანი 1991).

3. ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც განსხვავებული ფორმა და მნიშვნელობა აქვთ:

დარკინავდენ – ჯვრისწერის დროს ნეფე-პატარძლის ხანჯლების ქვეშ გატარებას ნიშნავს. მოქმედის განმარტებით: „ღუდელი დალოცავდა, გამეიყუანდენ მერე ნეფე-დედოფალს, ახლა **დარკინავდენ** იმას.“ დარკინვა ქვეგლ-ში განმარტებულია, როგორც „რკინის შემოკვრა, რკინის გისოსის გაკეთება“ (ქვეგლ). გურულ დიალექტში გამოიყენება „ყველის შესადეღებელი რძის“ სემანტიკით (ჯაჭანიძე 1977).

დააღუღულებდა – დაახვევდა. „ბამბას დაპენტავდა, იმას **დააღუღულებდა** კარქა და სტავდა მერე.“ **დაღუღული** კახურში (ქიზიყ.) სულ სხვა სემანტიკით გვხვდება, ნიშნავს „მგლოვიარესავით ძალზე მოწყენილს“ (ლლონტი 1984). აღნიშნული სიტყვა ფონეტიკური ვარიანტით – **ღურღუმალი** დასტურდება ლეჩხუმურში, აღნიშნავს „ღრმა წყალს, მორევს“ (ალავიძე 1938).

აპანტურებს – ახამხამებს, ამოძრავებს. „დროგამოშვებით თვალეფს **აპანტურეფს**, როგორც ჩქარ-ჩქარა.“ **პანტური** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გაიგივებულია **ბარტყუნ**-თან და ნიშნავს „ცხოველთა ყურების მოძრაობა-ცემას, ასეთი ყურთა ცემის ხმას“ (ქვეგლ). გურულში **პანტური** აღნიშნავს „უთავბოლო ხეტიალს“ (ლლონტი 1984).

ღინწილათ – ნიშნავს „ნაკლებს“. „გაამშუენიერეს და გამოჩთა პატარა პამიდორი, **ღინწილათ** იყო რაცხა.“ **ღინწილა** ლექსიკონებში განსხვავებული სემანტიკითა და ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება. შდრ.: **ღინწა** – ხმარებისაგან გაცვეთილი ჯაყვა (კუბლაშვილი 1985). **ღინწი** – მცირე და წვრილი დანა (ქვეგლ); **ღინწკულა** (გურ.) ხმარებაში გაღეული დანა (იქვე); **ღინწილა** 1. წისქვილის ბორბლის საყრდენი (სინონ. კიბორჩხალი) 2. იგივეა, რაც ქაჩალა ტარო (ძონენიძე 1974); **ღინწილა**¹ (ზ.იმერ., მესხ.) ფარლული, უბრალო მძივი; პატარ-პატარა ნიჟარების მძივი; მძივებისა და თვლების ასხმულა (ლლონტი 1984). **ღინწილა**² (ზ.იმერ.) ჭყინტი სიმინდი, შესანვავად უვარგისი (იქვე).

უკირჩხიმალებდა – აკვირდებოდა. „საგზეოს ზემო, **უკირჩხიმალებდა** ხალხი, რო წყალი არ გარასცდეს, გლეხები არ წაგჟილოსო“. კირჩხიმალი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტითა და მნიშვნელობით დასტურდება იმერულსა და მთის კილოებში. შდრ.: **კირჩხენა** (ზ. იმერ.) – თმის ვარცხნა მსხვილკბილებიანი სავარცხლით (ლლონტი 1984); **კირჩხა**¹ – (თუმ) ტოტებიანი სარი თივის ზვინისა ბარში. **კირჩხა**² – **კაჩხა**; **კირჩხალი** – (თმ.) გრძლად, ჩურჩხელისებურად დაკიდებული ყინულის ლოლუა (იქვე).

ფირფილობს – ფრიალებს. „გედიტან სუფთა ადგილზე და ხეზე შედეფ იმას, ამ ნაჭრეფს და ფირფილოფს ის.“ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს იმერულში გამოუვლინდა სხვადასხვა ფორმობრივი ვარიანტი და მნიშვნელობა. შდრ.: **ფირფილი** (ქვ. იმერ) – წისქვილის ბორბლის ფრთა (ლლონტი 1984); **ფირფილა** კუთხ. (იმერ.) იხ **ფიფინა**² – ჩვილი ბავშვის

გასართობი სათამაშო – ჩხარუნა, უღარუნა. // იგივეა, რაც ლიფლიფანა (ქეგლ).

ღვლიპი – პატარა. „ნამევიყვანე ღვლიპი მოზვრები შით.“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ღვლიპი** გვხვდება სხვადასხვა ვარიანტითა და მნიშვნელობით. შდრ. **ღვლიპ-ი** – შიშველ-ტიტველი. **ღვლიაპ-ი** 1. ძვ. ფრინველის მართვე, უნაკრტენო (საბა), ტიტველა ბარტყი. 2. კუთხ. (ქართ.) ქორთვა, პატარა (ბავშვი) (ქეგლ).

შიამქშიო – მიუგზავნო, მიუსიო. „რათ გინდა მაინდამაინც ის ამბავი, რომე თელი ხალხი შიამქშიო და ერთი კვირე გააცთინო.“ შდრ. რაჭული **შემქაშდება**, რომელიც შემდეგნაირად განიმარტება: ერთმანეთზე დაყრილი ხილი ტენის სიჭარბით შეხურდება, გაფუჭებას დაიწყებს (კობახიძე 1987).

გაანალიზებულ მასალაში დადასტურდა საინტერესო **შესიტყვებები და ფრაზები:**

ახლა თავიბალანს იღებს ძირს (= ძალიან განიცდის).

მარხვას ვერ შიაჭუმდი (= მარხვას ვერ დაარღვევინებდი).

განვიდა პილმა შუალამე (= გათენდა).

ბიჭო, შე ყოფაგადულრულო (= უბედურო).

გოგო – სხვისი ნაცარიო – ასე იტყვიან გათხოვილ გოგომე, რომელიც სხვისი კერია არის.

სავსე იყო კვდელ-ყურე (= უხვად იყო ყველაფერი).

გაანალიზებული იმერული (ოკრიბის თემში ჩანერილი) სიტყვაფორმები მნიშვნელოვანი მასალაა ქართული ენის ლექსიკური ფონდის შევსება-სრულყოფისთვის.

დამონშებული ლიტერატურა

აბულაძე 1973: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.

ალავიძე 1938: ალავიძე მ., ლეჩხუმური ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938.

ალავიძე 1955: ალავიძე მ., მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის. ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII. ქუთაისი, 1955.

ბერიძე 1912: ბერიძე ვ., სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. თბილისი, 1912.

ბეროზაშვილი... 1981: ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ., ქართლური დიალექტის ლექსიკონი. თბილისი, 1981.

გაჩეჩილაძე 1976: გაჩეჩილაძე პ., იმერული სალექსიკონო მასალა. თბილისი, 1976.

კობახიძე 1987: კობახიძე ალ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი. თბილისი, 1987.

კუბლაშვილი 1985: კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი. თბილისი, 1985.

- უღენტი 1936:** უღენტი ს., გურული კილო. თბილისი, 1936.
- როსტიაშვილი 1978:** როსტიაშვილი ნ., ინგილოური ლექსიკონი. თბილისი, 1978.
- სარჯველაძე 1955:** სარჯველაძე ზ., ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1955.
- სახოკია 1979:** სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი, 1979.
- ორბელიანი 1991-1993:** ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი, ტ. I – 1991, ტ. II – 1993.
- ფეიქრიშვილი 1992:** ფეიქრიშვილი უ., მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა. ქუთაისი, 1992.
- ქეგელი 1950-1964:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 8 ტომად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი, 1950-1964.
- ქაჯაია 2001:** ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II. თბილისი, 2001.
- ღამბაშიძე 1988:** ღამბაშიძე რ., ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი. თბილისი, 1988.
- ღლონტი 1984:** ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. მეორე გამოცემა. თბილისი, 1984.
- შარაშენიძე 1938:** შარაშენიძე გ., გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938.
- ძონენიძე 1974:** ძონენიძე ქ., ზემოიმერული ლექსიკონი. თბილისი, 1974.
- წერეთელი 1938:** ზემოიმერული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938.
- ხუბუტია 1969:** ხუბუტია პ., თუშური კილო. თბილისი, 1969.
- ჯაჯანიძე 1977:** ჯაჯანიძე პ., გურული დიალექტი ტექსტები და ლექსიკონის მასალები, I. თბილისი, 1977.
- იმერული დიალექტოლოგიური მასალა (1993-1998),** დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.